მარიამ გელხაური •

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების დეფინიცია და ჩამოყალიბების მიზეზები სამეცნიერო ლიტერატურაში

აბსტრაქტი

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები, თავისი არსით, ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, განსაკუთრებით, განვითარებულ ან გარდამავალ სტადიაზე მყოფი ქვეყნებისთვის. სტუდენტთა აქტიურობა, ყველაზე მეტად, შესამჩნევია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ, რომლებიც უშუალოდ ეხება ან გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მათზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში სტუდენტური პროტესტის მრავალფეროვანი განმარტებები არსებობს. მკვლევრები თავიანთ ნაშრომებში აღნიშნულ ტერმინს კონკრეტული პროტესტთა მაგალითებზე დაყრდნობით განიხილავენ, ამიტომ მისი ერთი უნივერსალური განმარტება არ არსებობს. წარმოდგენილი სატატია მიმოიხილავს და აანალიზებს, სწორედ, სამეცნიერო ლიტერატურაში ასახულ სტუდენტურ საპროტესტო მოძრაობების დეფინიციას. როგორც აღმოჩნდა, მკვლევრები სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების განმარტებისას, ძირითად აქცენტს, მათ იდეაზე, მიზნებზე, მასშტაბურობასა და საბოლოო შედეგებზე ამახვილებენ.

სტუდენტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. აქვე, გამოიკვეთა, სტუდენტთა პროტესტის მიზეზები, რომლებიც უკავშირდებოდა, როგორც ლოკალურ საუნივერსიტეტო თემატიკებს, ასევე, ისეთ თემებს, რომლებიც მთელს სახელმწიფოსა და საზოგადოებას ეხებოდა. გამომდინარე საკითხის

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

აქტუალურობიდან, სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების კვლევა ღირებულია ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების წახალისების კვალდაკვალ, რადგანაც მოქალაქეთა მონაწილეობა და აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიისთვის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოდაგენს.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტობა, სტუდენტური პროტესტი, სტუდენტური პროტესტის მიზეზები.

შესავალი

ინდივიდთა ჩართულობა სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკურ პროცესში დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. მე-20 საუკუნე ბევრ დასავლურ ქვეყნაში მნიშვნელოვანი ეპოქა აღმოჩნდა დემოკრატიული პროცესების განვითარების კუთხით. სამოქალაქო აქტივიზმი, სწორედ ამ პერიოდში გავრცელდა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაშიც. განსაკუთრებით შეინიშნებოდა სტუდენტების გააქტიურება საპროტესტო გამოსვლების მიმართულებით.

ახალგაზრდობის როლი გამოკვეთილად მნიშვნელოვანი იყო როგორც ადრეულ საპროტესტო მოძრაობებში, ისე თანამედროვე ეპოქაშიც. ახალგაზრდობა განსაკუთრებით აქტიურდება, როცა საქმე უსამართლობას ეხება. სტატიაში გაანალიზებულია სტუდენტთა საპროტესტო მოძრაობებისადმი კონცეპტუალური მიდგომები სამეცნიერო ლიტერატურაში. თავდაპირველად, მე-12 საუკუნეში, თანამედროვე უნივერსიტეტის ოფიციალური დაარსების დღიდან, სტუდენტი, როგორც აქტორი, წარმოადგენდა უმაღლესი სასწავლებლის მნიშვნელოვან ნაწილს. გარკვეულ შემთხვევებში, სტუდენტები ბოლონიისა და პარიზის უნივერსიტეტებში იყოფოდნენ ჯგუფებად, სახელწოდებით „ერები“, რომლებიც იქმნებოდა უცხოელი სტუდენტების მიერ ორგანიზებული ჯგუფებისგან, რათა თავი დაეცვათ პერიოდული ფიზიკური თავდასხმებისგან ადგილობრივი მცხოვრებლებისგან, მაგრამ აღნიშნული მალევე გავრცელდა სხვა საერთო საკითხებზეც. მოგვიანებით, ადგილობრივმა სტუდენტებ-

მაც დაიწყეს საკუთარი ერობების ჩამოყალიბება სხვადასხვა საერთო მიზნებისთვის (Skolnick, 1969).

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია თვისებრივი კვლევის მეთოდის, დოკუმენტების მიმოხილვის საფუძელზე, გაანალიზოს სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებული სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები, იმავდროეულად თეორიულ ჭრილში განხილულია აღნიშნული საპროტესტო მოძრაობების ჩამოყალიბების მიზეზები.

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების დეფინიცია

სტუდენტური პროტესტის დეფინიციასთან დაკავშირებით აკადემიურ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა განმარტებები. ეს, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ლოკალურ ან ისეთ თემებს, რომლებიც ფართო სოციალურ პრობლემებს ეხება. თავის ნაშრომში სოციალური მოძრაობების შესახებ, კრისტოფერ რუტსი ამტკიცებდა, რომ „სტუდენტური მოძრაობები არის საზოგადოებების ქმნილებები, რომლებშიც ისინი ყალიბდებიან და, როგორც ასეთი, გამოხატავენ მათი გარემოებების ყველა სრულყოფილებასა და დეფორმაციას“ (Rootes, 1980). ზოგიერთი მკვლევრისთვის სოციალური მოძრაობები განსაკუთრებით პროგრესულია, როდესაც ხელმძღვანელობენ სტუდენტები და ახალგაზრდული აქტივისტები და მათ ცენტრალური ადგილი უკავიათ „დემოკრატიზაციის პროცესში“ (Giroux, 2018).

აქტივიზმს არ აქვს მარტივი განმარტება. აქტივიზმის დეფინიცია მრავალფეროვანი და დაუსრულებელია, ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს მისი ერთი უნივერსალური განმარტება. ის ხშირად, არეულია მსგავს ტერმინებთან, როგორიცაა სამოქალაქო ჩართულობა. ფილიპ ალტბახი, აქტივიზმის სფეროს წამყვანი მეცნიერია, რომელიც აღწერს აქტივიზმს, როგორც „უაღრესად რთულ, მრავალმხრივ ფენომენს“ (Altbach, 1991, p.247). კიდევ ერთ სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც დაფუძნებულია ალტბახის ნაშრომზე, კეზარი (2010) აქტივიზმს განსაზღვრავს, როგორც „სტუდენ-

ტების მცდელობას, შექმნან ცვლილებები კამპუსში ან მის ფარგლებს გარეთ, დაკავშირებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრთან, ტექნიკური ინსტიტუციური არხების გამოყენებით, როგორებიცაა პროტესტი, დემონსტრაცია და მიტინგები“ (Kezar, 2010, p. 461).

ზოგი ნაშრომის მიხედვით, სტუდენტთა პროტესტის სამიზნეებია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ან ზოგადად სასწავლებელი, ასევე, მათივე აღნიშვნით, სტუდენტებისთვის მიუღებელია შეზღუდვები სიტყვის თავისუფლებაზე, ასევე დროისა და ადგილის წესები, რომლებიც შეიძლება ზღუდავდეს მათ ძალისხმევას. უნივერსიტეტებს უჭირთ აქტივისტების მხარდაჭერა და მათი სურვილების დაკმაყოფილება იმ შემთხვევაში, თუ ბევრი აქტივისტი მათივე საქმიანობაში დაბრკოლებებს ქმნის (Stewart, 2021, p. 3).

კიდევ ერთი განმარტების თანახმად, სტუდენტური მოძრაობა პროტესტზე დაფუძნებული ყოვლისმომცველი და შეგნებულად ორგანიზებული ტალღაა. იგი დაფუძნებულია უნივერსიტეტისა და სოციუმის სისტემურ კრიტიკაზე და მიზნად ისახავს ორივეს ფუნდამენტურად შეცვლას. აღნიშნული მოვლენა უნიკალურია დასავლურ ისტორიაში (PAREKH, 1971, pp. 53-83). წარმოდგენილი განმარტება საინტერესოა იმ კუთხით, რომ ავტორი წარმოაჩენს სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების მნიშვნელოვან როლს არა მხოლოდ უნივერსიტეტში არსებული გამოწვევების შესაცვლელად, არამედ სტუდენტებს და მათ საპროტესტო ტალღას მაკრო დონეზე, საზოგადოების შეცვლის ნაწილად განიხილავს. ამ გადმოსახედიდან, ზოგიერთი მკვლევარი სტუდენტთა აქტივიზმს უფრო ფართო დონეზე განიხილავს: „იგულისხმება სტუდენტების ძალისხმევა, შექმნან ცვლილებები კამპუსში ან მის ფარგლებს გარეთ, რომელიც დაკავშირებულია სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრთან, ტექნიკური ინსტიტუციური არხების გამოყენებით, როგორიცაა პროტესტი, დემონსტრაცია და მიტინგები“ (Kezar, 2010, p. 461) მაგალითად, ჰუნდშაიდი (2010) ხაზს უსვამს აქტივისტ სტუდენტთა ჩვენებებს იმის თაობაზე, რომ მათ

ამოწურეს ცვლილებების ინსტიტუციური ან ნორმალური არხები, რაც მათ პროტესტს მოითხოვდა. ნიუელმა (2014) აქტივიზმი ძალიან კონკრეტულად განსაზღვრა, როგორც საპროტესტო ან პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობა.

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობებზე საუბარი სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. ეს უკავშირდებოდა კალიფორნიაში მომხდარ მასშტაბურ გამოსვლებს. 1964 წლის ბერკლის სტუდენტურმა აჯანყებამ ერთგვარი შოკი გამოიწვია აკადემიურ საზოგადოებაში. ეროვნული სტუდენტური ასოციაციის მონაცემებით, 1967-68 სასწავლო წლის პირველ ნახევარში 71 ცალკე დემონსტრაცია გაიმართა 62 კამპუსში. აქ დათვლილია მხოლოდ ის დემონსტრაციები, რომელშიც მონაწილეობდა 35 ან მეტი სტუდენტი. წლის მეორე ნახევრისთვის ეს რიცხვი 101 სასწავლებელში 221 აქციამდე გაიზარდა (Skolnick, 1969). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდის სტუდენტური მოძრაობა უპრეცედენტოდ და უნიკალურად სახელდება, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების პროტესტი, ახალი მოვლენა ნამდვილად არ ყოფილა და არც სტუდენტების ჩართულობა იყო საზოგადოებისთვის უცხო უფრო დიდ პოლიტიკურ მოვლენებში.

სოციალური მოძრაობა კლასიკურად განიხილება, როგორც „დიდი ჯგუფი, რომელიც ყალიბდება მიზნების ან რწმენების მხარდასაჭერად, რომლებსაც "იზიარებენ" ჯგუფის წევრები... და წარმოადგენს დიდი რაოდენობის ხალხის ძალისხმევას ერთობლივად გადაჭრან ის პრობლემა, რომელიც მათ აქვთ, რადგანაც გრძნობენ, რომ ეს მათი საერთო პრობლემაა“ (Stanley & Toch, 1969). სოციალური მოძრაობები ითვისებენ გარკვეულ იდეებსა და ფილოსოფიას, რომლებიც ამართლებენ მათ მიზნებს; ასევე, იყენებენ სიმბოლოებს, რომლებიც იწვევს ჯგუფური სოლიდარობის გრძნობას და გამოხატავს საერთო კოლექტიურ ინტერესებს. სოციალურ მოძრაობებს, როგორც წესი, აქვთ გარკვეული სახის ორგანიზაცია ლიდერებთან, სპიკერებთან და წარმომადგენლებთან ერთად, თუმცა ისინი, არ არიან კორპორატიული სუბიექტები. მიუხედავად სოციალუ-

რი მოძრაობის ამ და სხვა ატრიბუტებისა, აუცილებელი მახასიათებელია საერთო იდეოლოგიის ან რწმენის სისტემის არსებობა (Converse, 1964). ფოიერის ძირითადი ეთიკური დამოკიდებულებების კლასიფიკაციის მიხედვით, სტუდენტური აქტივისტების ომის შემდგომი თაობა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ჰედონისტი რევოლუციონერები, განსხვავებით 1930-იანი წლების მემარცხენე ინტელექტუალებისგან, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს ასკეტური რევოლუციონერები (Feuer, 1963).

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ჩამოყალიბების მიზეზები და მასშტაბურობა (თეორიული მიმოხილვა)

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების კერები და მათი მასშტაბურობა განსხვავებულია. მკვლევართა ნაწილი გამოყოფს ისტორიული მოვლენების მნიშვნელობას სტუდენტურ საპროტესტო ტალღების გაჩენაში, რაც გულისხმობს იმას, რომ წარსული მოვლენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს მიმდინარე საპროტესტო ტალღასთან (Dyke, 1998). 1960-იანი და 1970-იანი წლების სტუდენტური მოძრაობები სათავეს იღებს სამოქალაქო უფლებების საპროტესტო გამოსვლებით, რომლებიც დაიწყო შეერთებულ შტატებში, 1950-იან წლებში ევროპაში სამშვიდობო მსვლელობებსა და დემონსტრაციებში. 1960-იანი წლების განმავლობაში პროტესტი გავრცელდა ორივე კონტინენტზე და შედარებით მცირედ მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც (Roberts, 2015).

როგორც სამეცნიერო წრეებში აღნიშნავენ, სტუდენტები, ხშირად იბრძვიან არა საკუთარი პირდაპირი სარგებლისთვის, არამედ იდეალისტური მიზეზების გამო. მათივე ხედვით, სტუდენტური მოძრაობების იდეალისტური ბუნება შესაძლოა იყოს როგორც სტიმული, ასევე, შემზღუდველი ფაქტორი მდგრადი სტუდენტური აქტივიზმისთვის. სტუდენტური აქტივისტური მოძრაობები, როგორც წესი, არ გრძელდება ერთი ან ორი სასწავლო წლის შემდეგ და შემდგომშიც იშვიათად წარმოქმნის მუდმივ ორგანიზაციებს ან პოლიტიკურ პარტიებს (Altbach, 1989, p. 99).

სტუდენტური აქტივიზმი, ზოგჯერ, პოლიტიკურ ხასიათსაც იღებს ხოლმე, ამიტომ ასახსნელად უაღრესად რთული და მრავალმხრივი ფენომენია, განსხვავებული ისტორიული გარემოებების, სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონისა და განათლების სისტემების გამო. კიდევ უფრო რთულია აქტივიზმის პროგნოზირება. სტუდენტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მრავალი დღევანდელი მოწინავე ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში. სტუდენტების ჩართულობა ყოველთვის გამოკვეთილი იყო ნაციონალისტური თემატიკის საპროტესტო აქტივიზმში დასავლურ ქვეყნებში (Altbach, 1989, p. 97). აღსანიშნავია, რომ, ზოგჯერ, სტუდენტური მოძრაობების გეზი რადიკალიზმისკენ მიემართება, რასაც იტალიისა და გერმანიის მაგალითებიც ადასტურებს, აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ 1920-30-იან წლებში გერმანიის სტუდენტური მოძრაობები იყვნენ პირველები იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ ადოლფ ჰიტლერს (GILES, 1985, p. 123).

ისტორიაში, მკვლევართა დაკვირვებით, აღინიშნება სტუდენტთა პროტესტის გამომწვევი იდეოლოგიური ფაქტორები. მაგალითად, იაპონელი მკვლევარი კაზუკო წურუმი იაპონიაში 60-იანი წლების სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების განხილვისას, წარმოადგენს კვლევის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, რადიკალი აქტივისტების 78,7% ამბობს, რომ ისინი „ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ მარქსიზმით“, მისივე აღნიშვნით, მარქსიზმით დაინტერესება რადიკალ სტუდენტებს შორის გასაკვირი არ არის იაპონიაში, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი ფაქტორი იყო ის, რომ პასიური აქტივისტების გარკვეული ნაწილი მარქსიზმის გარდა, ასევე, ემხრობოდა სხვა იდეოლოგიასაც. კერძოდ გამოკვეთილი იყო შემდეგი კომბინაციები: მარქსიზმი და ჰუმანიზმი, მარქსიზმი და ეგზისტენციალიზმი, მარქსიზმი და ნიჰილიზმი (Tsurumi, 1970).

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები ხასიათდებიან თავიანთი არასისტემური ხასიათით და როგორც წესი, ხანმოკლეა - მათი ერთი ან ორი წელი გაგრძელება უჩვეულოა, თუმცა არსებობს უფრო მდგრადი სტუდენტური აქტივიზმის შემთხვევები. მეცნი-

ერები აღნიშნავენ იმასაც, რომ ისევე, როგორც ძნელია აქტივისტური მოძრაობების აღმავლობის პროგნოზირება, ასევე, დიდი გამოწვევაა მათი დაშლის პროგნოზირებაც (Altbach, 1989, p. 99). სტუდენტური „თაობების“ მონაცვლეობა უნივერსიტეტებში ართულებს სტუდენტური მოძრაობების მდგრადობას - იცვლებიან ლიდერები და მიმდევრები. ასევე, სტუდენტურ მოძრაობების აქტიურობას და მათში სტუდენტების მონაწილეობას აფერხებს აკადემიურ სისტემაში გამოცდის ჩაბარებისა და ხარისხის მიღების ფაქტორები. ამ სახის ტურბულენტური გარემო კი ართულებს სტუდენტური მოძრაობების შენარჩუნებას. გარდა ამისა, სტუდენტებს შეიძლება გააჩნდეთ სრულიად განსხვავებული ორიენტაციები და ინტერესები ამიტომ აქტივიზმის „ტრადიცია“ ზოგჯერ დროებითია (Altbach P. G., 1989).

ზოგიერთი მკვლევარის დაკვირვებით, უნივერსიტეტის სტუდენტურმა აქტივიზმმა საკმაოდ მასშტაბური სახე მიიღო და ბევრი ცვლილების განმაპირობებელიც აღმოჩნდა, მაგალითად შეერთებულ შტატებში „მათ შეცვალეს ჩვენი უნივერსიტეტები და ერი სხვადასხვა გზით. აქტივიზმის მცდელობამ შეცვალა უმაღლესი განათლების სასწავლო გეგმის აქცენტი“ (Lucas, 1994). გაზარდა ცნობიერება გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ეჭვქვეშ დააყენა ომები და გამოავლინა უსამართლობის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია რასასთან, გენდერთან, სექსუალობასთან და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან (HUNT & Benford, 1994). დროთა განმავლობაში განვითარდნენ პიროვნებები, რომლებიც მონაწილეობდნენ აქტივიზმში, ასევე, გაიზარდა ამ აქტივისტების ცნობადობა, კოლეჯის ადმინისტრაციისა და საზოგადოების რეაქცია და ტექნოლოგიების გავლენა. ისტორიულად, სტუდენტების მხოლოდ მცირე რაოდენობა მონაწილეობდა აქტივიზმის სხვადასხვა ფორმებში (Klandermans, 2002; Paulsen, 1991; Sampson, 1970).

ზოგჯერ სტუდენტური პროტესტები უფრო მასშტაბურ მოძრაობებად ყალიბდება ხოლმე და მათ სხვა ჯგუფებიც უერთდებიან.

მაგალითად, სტუდენტური საპროტესტო ტალღის პერიოდი ბერლინში 1968 წელს გამოირჩეოდა როგორც გერმანიის უნივერსიტეტების სტუდენტების, ისე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების აქტიურობით. აღნიშნულმა ჯგუფებმა კი ზოგიერთი პროტესტის პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. პროტესტის დროს შეინიშნებოდა ცნობილ გერმანულ პოლიტიკურ პარტიათა ჩართულობაც, როგორებიცაა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი და სოციალ დემოკრატიული მოძრაობა (Merritt, 1969, p. 520).

თავისი მასშტაბურობით გამოირჩეოდა 1967-1968 წლებში სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები იტალიაში. მოძრაობა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საუნივერსიტეტო სისტემის დამხობას, არამედ უნივერსიტეტის ან უშუალოდ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის, როგორც ასეთის, დამხობას. სტუდენტურმა მოძრაობამ უნივერსიტეტი თავისი მოქმედების მთავარ სამიზნედ აირჩია არა იმიტომ, რომ უნივერსიტეტი მათი აკვანი იყო, არამედ იმიტომ, რომ უნივერსიტეტი იტალიურ საზოგადოებაში არის სუსტი რგოლი სხვადასხვა ასპექტში (Mancini, 1968, pp. 427-428). სტუდენტების პროტესტმა იტალიაში საკმაოდ მწვავე ხასიათი შეიძინა. თავდაპირველად, რამოდენიმე ასეულმა სტუდენტმა მოაწყო მჯდომარე აქცია, შემდგომი აქციები კი მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდა, სადაც 1500-მდე სტუდენტი აქტიურობდა. ტურინიდან აჯანყება გავრცელდა მთელი ქვეყანის რამოდენიმე ქალაქში, სტუდენტები და პოლიციელები თავს ესხმოდნენ ერთმანეთს, რასაც საკმაოდ დიდი არეულობა მოჰყვა (იქვე, გვ. 428).

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სტუდენტური მოძრაობები არ არის მდგრადი, როგორც აკადემიურ ლიტერატურაშია ხაზგასმული, უკავშირდება აქტივიზმზე გარე რეაგირებებს. სტუდენტური მოძრაობები იშვიათად ფუნქციონირებენ მხოლოდ უნივერსიტეტების კამპუსებში. სტუდენტებს ხშირად აწუხებთ უფრო ფართო პოლიტიკური ან სოციალური საკითხები და შეგნებულად ცდილობენ გავლენა მოახდინონ უნივერსიტეტის მიღმა განვითარებულ მოვ-

ლენებზე. მაშინაც კი, როდესაც მოძრაობა ორიენტირებულია უნივერსიტეტზე, გავლენა, ხშირად უნივერსიტეტს მიღმა ვრცელდება.

სტუდენტური მოძრაობები, გარკვეულწილად, მაინც დამოკიდებულნი არიან საზოგადოების რეაქციასა და აქტივიზმზე. ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით, მესამე სამყაროში, უნივერსიტეტის აქტივიზმი პირდაპირ კავშირშია საზოგადოების ძირითად პოლიტიკურ საკითხებთან და იწვევს მნიშვნელოვან სოციალურ არეულობას. აღნიშნული კი ზოგჯერ ხელს უწყობს რეჟიმის დამხობას. როგორც მკვლევრები მიმოიხილავენ, სტუდენტური მოძრაობები დამოკიდებულნი არიან მასმედიის რეაქციებზე, ასევე, უნივერსიტეტების გარეთ არსებულ ძირითად სოციალურ ჯგუფებსა და სხვა შიდა საუნივერისტეტო ფაქტორებზე (Gitlin, 2003). როდესაც სტუდენტები ფიქრობენ მნიშვნელოვან სოციალურ საკითხზე (მაგალითად, სამოქალაქო უფლებების საკითხი შეერთებულ შტატებში 1960-იანი წლების დასაწყისში), მათ სურთ მიიპყრონ როგორც მასმედიის ყურადღება, ასევე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა. ამერიკელმა სტუდენტებმა ხელი შეუწყეს როგორც სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ჩამოყალიბებას, ასევე 1960-იან წლებში ვიეტნამის ომის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას, სწორედ იმიტომ, რომ ისინი უფრო ფართო სოციალურ საზრუნავს გამოხატავდნენ (Fraser , 1988).

დასკვნა

სამეცნიერო ლიტერატურაში სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების განმარტებები მრავალფეროვანია. რიგ მკვლევართა მიერ ხშირად ხდება მისი გაიგივება სამოქალაქო ჩაღთულობასა და აქტივიზმთან. მისი განმარტებისას მკვლევარები, ძირითადად, ორიენტირებულნი არიანი ისტორიული კონტექსტის შესწავლაზე, აგრეთვე, უმნიშნელოვანესია კონკრეტულად ის პრობლემატიკა, რომლებიც სტუდენტებს აწუხებთ და რომელიც მათთვის სენსიტიურ თემატიკას წარმოადგენს. აღნიშნულ თემებში მოიაზრება ადამიანის უფლებები, სწავლის ხარისხი, რასიზმი, ნაციონალიზმი და სხვა.

აკადემიურ ლიტერატურაში აქცენტი ხშირად მახვილდება სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების მასშტაბსა და ხანგრძლივობაზე. თუ სტუდენტური პროტესტი შედარებით მცირე მასშტაბისაა და მხოლოდ საუნივერსიტეტო თემატიკას ეხება, როგორც წესი, ის მალე სრულდება და შესაძლოა, სულ რამდენიმე სასწავლო სემესტრი გასტანოს. შედარებით უფრო მასშტაბურ პროტესტებში გარდაიქმნება ისეთი გამოსვლები და თემატიკა, რომელიც უშუალოდ სტუდენტებსა და საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეხება. ამიტომ, პასუხი კითხვაზე თუ რატომ წარმოიქმნებიან სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები მრავალფეროვანია. სტუდენტების აქტივიზმი დაკავშირებულია უნივერსიტეტებში არსებულ ადმინისტრაციულ თუ სწავლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან, თუმცა, ამავდროულად, სტუდენტებს უფრო მასშტაბური მიზნებიც ამოძრავებთ ხოლმე და ხშირად, ფუნდამენტური პოლიტიკური პროცესების განმახორციელებლები აღმოჩნდებიან, ზოგჯერ კი, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების ჩართულობით. გარდა ამისა, სტუდენტური პროტესტი, ისტორიული მაგალითებიდან გამომდინარე, იდეოლოგიზირებულ სახესაც იღებს ხოლმე. აღნიშნული ტენდენცია გამოიკვეთა განსაკუთრებით, მსოფლიო ომების პერიოდში, როცა სტუდენტური მოძრაობები იზიარებდნენ

მარქსისტულ ხედვებს, აგრეთვე, ჰიტლერის თავდაპირველ მიმდევართა შორის სტუდენტური აქტივისტებიც გამოირჩეოდნენ.

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების კვლევა, განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნების მაგალითებზე, სადაც სტუდენტური აქტივიზმი აღინიშნებოდა და თანამდროვე პერიოდშიც აქტიურ დღის წესრიგში დგას. მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

Altbach, P. (1989). Perspectives on Student Political Activism. *Comparative Education, Vol. 25, No. 1 (1989)*, 97-110. Retrieved 06 23, 2023, from https://www.jstor.org/stable/3099006

Converse, P. E. (1964). *" The Nature of Belief Systems in Mass Publics".* New York: (New York: Free Press .

Dyke, N. v. (1998, 05). Hotbeds of Activism: Locations of Student Protest. *University of California Press on behalf of the Society for the Study of Social*, 205-220. Retrieved 02 26, 2023, from : http://www.jstor.org/stable/3097244

Feuer, L. (1963). *For the distinction between hedonistic and ascetic revolution.* New York.

Fraser , R. (1988). *1968: A Student Generation in Revolt.* New York: Pantheon.

GILES, G. (1985). *Students and National Socialism in Germany.* Princeton: Princeton University Press.

Gitlin, T. (2003). *The Whole World Is Watching Mass Media in the Making and Unmaking of the New Left, With a New Preface* (First Edition ed.). Berkely, California: University of California Press. Retrieved 06 24, 2023

HUNT, S., & Benford, R. (1994, January). Identity Talk in the Peace and Justice Movement. *Journal of Contemporary Ethnography*, 488-517. Retrieved 06 25, 2023, from https://www.researchgate.net/publication/240706109_Identity_Talk_in_the_Peace_and_Justice_Movement

Kezar, A. (2010, September/October). Faculty and Staff Partnering With Student Activists: Unexplored Terrains of Interaction and Development. *Journal of College Student Development, Volume 51, Number 5*, 451-480. Retrieved 06 24, 2023

Lucas, C. (1994). *American Higher Education: A History.* New York: St. Martin's Griffin.

Mancini, F. (1968, 12). The Italian Student Movement. *American Association of University Professors, Vol. 54, No. 4 (Dec., 1968)*, 427-432. Retrieved 06 21, 2023, from https://www.jstor.org/stable/40223720

Merritt, R. (1969, 07). The Student Protest Movement in West Berlin. *Comparative Politics, Ph.D. Programs in Political Science, Vol. 1, No. 4 (Jul., 1969)*, 516-533. Retrieved 06 20, 2023, from https://www.jstor.org/stable/421493

PAREKH, B. (1971). POLITICAL THEORY OF THE STUDENT MOVEMENT: A HISTORICAL AND PHILOSOPHICAL. *20th ANNIVERSARY ISSUE (WINTER 1971), Vol. 21, No. 1*,, 53-83. Retrieved 06 21, 2023, from https://www.jstor.org/stable/24457567

Roberts, K. (2015). Student Movements in the 1960s. (J. D. Wright, Ed.) *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences (Second Edition)*. Retrieved 06 21, 2023, from https://www.sciencedirect.com/topics/social-sciences/student-movement

Skolnick, J. (1969, sep). Student Protest. *American Association of University Professors*, 309-326. Retrieved 06 20, 2023, from https://www.jstor.org/stable/40223829

Stanley , M., & Toch, H. (1969). *"Collective Behavior: Crowds and Social Movements," in Gardner Lindzey and Elliot Aronson (eds.), Group Psychology and Phenomena of Interaction, Vol. IV, The Handbook of Social Psychology.* (Reading: Addison-Wesley Co., 19). Retrieved 06 21, 2023

Stewart , G. (2021). A Study of Modern College Student Activism: The Relationship to the School and How Groups Form. *DePaul University College of Education*. Retrieved 06 21, 2023, from https://via.library.depaul.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1215&context=soe_etd

Tsurumi, K. (1970). Some Comments on the Japanese Student Movement in the Sixties. *Journal of Contemporary History, 1970, Vol. 5, No. 1, Generations in Conflict*, 104-112. Retrieved 06 22, 2023, from https://www.jstor.org/stable/259983

Mariam Gelkhauri

Defining student protest movements and Reasons for their emergence in the scientific literature

Abstract

Student protest movements are by nature an important event for any country, especially for developed or emerging countries. Student activism is most noticeable on important issues that directly affect them or have some impact on them.

There are various definitions of student protests in the academic literature. In their work, researchers look at this term through examples of specific protests, so there is no single, universal definition of the term. This article examines and analyses the definitions of student protests found in the academic literature. As it turned out, when defining student protest movements, researchers focus on their idea, goals, scale, and outcomes.

The review of academic literature in this article shows that students in particular have become active since the 1960s. It highlighted the reasons for student protests that were related to local university issues as well as issues that affected the whole state and society. Due to the urgency of the issue, the study of student protest movements from different aspects is valuable in the course of promoting democratic processes in any country, as civic participation and freedom of expression are important indicators of democracy.

Keywords: student protest, definition of student protest, causes of protest, scientific review.